

გამომცემლებმა განათლების  
სამინისტროს წინააღმდეგ  
საკონსტიტუციო სასამართლოს  
მიმართეს



იხილეთ მე-  
2 გვერდზე

ავღანეთში „aisaf“-ის მიხიას  
7 ქართველი  
ჯარისკაცის  
სივრცოვანი  
უხსნეპრალა



იხილეთ  
მე-5 გვერდზე

## „პოლიტიკური ბრძოლის უახვი ადგომები, ამიტომ ცდილობენ, ზურგს უკან ამოეფარონ“

პირველი ექვლუზიური ინტერვიუ ქუთაისის ახალ მერთან



დიმიტრი კოპალიანი მშობლიურ ქალაქში ფრანგი მეუღლით, ამერიკული ინგლისურით  
მოლაპარაკე სამი შვილით და ქუთაისის დიდი სიყვარულით დაბრუნდა

იხილეთ მე-2 გვერდზე

თურქეთის  
მთავრობა  
აპერიკას  
აპრიტიკავს

იხილეთ მე-5 გვერდზე

რელიგია  
კანონიერების  
ჭრილი

უნდა გახდეს თუ არა  
მართლმადიდებლობა  
სახელმწიფო რელიგია?

იხილეთ მე-5 გვერდზე

სოფლის  
განვითარებისთვის  
49 993 821 ლარი  
დაინარჯება

იხილეთ მე-2 გვერდზე

გავშვთა უფლებები  
ყველაზე  
სერიად  
სოციალურად  
დაუსველ  
ბარემოში ირღვევა

დისკუსია გაზეთ „P.S.“-ის  
Press-კლუბში

იხილეთ მე-7 გვერდზე

პრეზიდენტი  
პროფესორი  
ქართულ  
აუდიტორიასთან

იხილეთ მე-6 გვერდზე

## მარიხუანას ღაქრიმინალიზაცია — საფრთხე თუ პოზიტივი?

საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად,  
ნარკოტიკული საშუალება მარიხუა-  
ნას მოხმარება ისევეა თავისუფლების  
აღკვეთით — ვადით ერთ წლამდე. მისი  
შენახვა-რეალიზაცია კი 11 წლამდე  
პატიმრობას ითვალისწინებს.

„მარიხუანას ლეგალიზაცია თაობებს  
დალუპავს!“ — ასეთ შეფასებას აძლევს

პროფესორ-ნარკოლოგთა ნაწილი  
მარიხუანას ღაქრიმინალიზაცია-ლეგა-  
ლიზაციისკენ მიმართულ, ბოლო დროს  
გაქტიურებულ კამპანიას. მარიხუანას,  
იგივე კანაფის მოხმარების ღაქრიმი-  
ნალიზაციის მოთხოვნით რამდენიმე  
დღის წინ აქცია გაიმართა თბილისში,  
რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარ-  
ლამენტის წინ. აქცია, რომელიც სოცი-

ალურ ქსელ facebook-ის საშუალებით  
დაიგეგმა, მიმართული იყო მარიხუანას  
მოხმარებლის სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების-  
კენ. მარიხუანას ღაქრიმინალიზაციის  
დადებითი და უარყოფითი ასპექტების  
გასაანალიზებლად სოციალურ ქსე-  
ლებში შექმნილია სპეციალური ჯგუ-  
ფები, სადაც ქსელის მოხმარებლები გა-

მოთქვამენ განსხვავებულ მოსაზრებებს,  
იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ  
არა ღაქრიმინალიზებული მარიხუანა,  
არის თუ არა იგი ე.წ. მსუბუქი ნარკო-  
ტიკი, და რა ზიანი შეიძლება მიყენოს  
საკუთარ ჯანმრთელობას მარიხუანას  
მოხმარებელმა.


გაგრძელება მე-4 გვერდზე

### რა უნდა იხილეს ადამიანმა, რომელიც სისხლის ჩასაბარებლად მიდის?



იხილეთ მე-6 გვერდზე

### მოქანდაკის სახლი — მუზეუმი!



იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმიკონი  
ქიმიკონი-გე

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპულარ“  
მაღაზია „ქიმიკონი“, ტელ: 790 927 927.



წიგნები  
უნდა გავიკეთო!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპულარ“, წიგნების  
მაღაზია „ქიმიკონი“, ტელ: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056



სოფლის განვითარებისთვის 49 993 821 ლარი დაიხარჯება

საქართველოს მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დაამტკიცა. საქართველოს მასშტაბით დაფინანსდება 7 ათასამდე პროექტი, რომლის ჯამური ღირებულებაც არის 49 993 821 ლარი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონების მიხედვით პროექტებისა და თანხების რაოდენობა ასე განაწილდა: აჭარა — დაფინანსდება 630-მდე პროექტი; ჯამური ღირებულება — 4 890 032 ლარი; გურია — 580-ზე მეტი პროექტი, ჯამური ღირებულება — 2 859 401 ლარი; იმერეთი — 1490-მდე პროექტი, ჯამური ღირებულება — 8 692 472 ლარი; კახეთი — 550-ზე მეტი პროექტი, ჯამური ღირებულება — 6 631 499 ლარი; მცხეთა-მთიანეთი — 530-მდე პროექტი, ჯამური ღირებულება — 1 074 137 ლარი; ქვემო ქართლი — 445 პროექტი, ჯამური ღირებულება — 8 676 958 ლარი; რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი — 320-ზე მეტი პროექტი; ჯამური ღირებულება — 1 488 992 ლარი; სამცხე-ჯავახეთი — 430-ზე მეტი პროექტი, ჯამური ღირებულება — 3 605 112 ლარი; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 1140-ზე მეტი პროექტი; ჯამური ღირებულება — 7 179 429 ლარი; შიდა ქართლი — 490-ზე მეტი პროექტი, ჯამური ღირებულება — 4 863 305 ლარი.

სამინისტროს ხელმძღვანელობის განმარტებით, საქართველოს 3500-მდე სოფელში ჩატარდა სოფლის კრებები, რომელზეც მოსახლეობამ თავად გადაწყვიტა, თუ რა პრობლემის მოგვარება იყო პრიორიტეტული მათი სოფლისთვის.

აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს უწევდნენ არასამთავრობო და რეგიონული მედიის წარმომადგენლები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ძირითადად, დაფინანსდება სასამართლო წყლის, შიდა სასოფლო გზების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, გარე განათების, სარტყულო სახლების, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა პროექტები.

ნატო პარანიძე psnews.ge

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

რედაქტორი: ნანული ცხვედიანი

დანიშნულება: ირმა ბახტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუბრაშვილი

რეკლამის მენეჯერი: ლელა თოლორაძე

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსერვიცი)

ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ა-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაკ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge



# „პოლიტიკური ბრძოლის უახში ადგილი. ამიტომ სდილობან, ზურბს უკან ამოეფარონ“

## პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ ქუთაისის ახალ მერთან

ქუთაისის ახალი მერი ჰყავს. დიმიტრი კობალიანი ამ პოსტზე რიგით მეთამე მერია. საზოგადოების მხრიდან მისი პიროვნების მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. ვთავაზობთ ინტერვიუს ქუთაისის ახალ მერთან, დიმიტრი კობალიანთან.

— ბატონო დიმიტრი, თქვენ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დარბი ქალაქის მერად დაინიშნეთ. ეკონომიკური გაანგარიშებით, რომელიც ქალაქის მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროპორციულობით განისაზღვრება, ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა წლიურად 68 ლარს შეადგენს. თბილისში ის 225 ლარია, ხოლო სხვა დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებში (და ასეთი საქართველოში ხუთია), 100-120 ლარის ფარგლებში მერყეობს. როგორ აპირებთ ამ კრიზისიდან ქალაქის გამოყვანას?

— შევეცდებით ყველაფერს, თბილისიდან დაწყებული, ვისთანაც კი ხელი მიმიწვდება, რომ ქალაქს დავეხმაროთ. ბოლოს და ბოლოს, ეს არის მეორე ქალაქი, ყველაფერი თბილისში ხომ არ უნდა წავიდეს, დაბალანსება უნდა მოხდეს ყველაფერის. ჯერ დონორების დახმარებით და შემდეგ მოსახლეობა უნდა ჩავრთოთ ადგილობრივ სამუშაოებში. ტენდერებში ადგილობრივებს უნდა მიენიჭოთ უპირატესობა. მინდა, რომ მოვიყვანო უცხოელები და ვანახო, თუ რა არის ქუთაისი. მე მაქვს ძალიან საინტერესო პროგრამა. ქუთაისისა უნდა იტვირთოს მეორე ადმინისტრაციული, კულტურული-

საგანმანათლებლო და ტურისტული ცენტრის მისია. უნდა მოხდეს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც შევასებელი იქნება პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და მექანიზმები.

— და ამ პროცესში რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული?

— პირველი — გამჭვირვალობა, თვითმმართველობის სტრუქტურა უნდა გათავისუფლდეს კორუფციის რისკებისაგან; მეორე — სისტემური მენეჯმენტის დანერგვა და მესამე — უცხოეთთან ურთიერთობის განვითარება, ქალაქის იმიჯის აწვევა. მნიშვნელოვანი იქნება როგორც დონორებთან, ასევე ცენტრალურ ხელი-სუფლებასთან მოლაპარაკება, რადგან ქალაქს სჭირდება დახმარება. ქუთაისი არის გაჩერებული და ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. მე ძალიან ბევრი საინტერესო მიმართულება მაქვს ქალაქის განვითარების თვალსაზრისით. მე ვარ პროფესიონალი, მაქვს ძალიან ღრმა გამოცდილება მენეჯმენტში. ბევრ სხვადასხვა კომპანიაში მიმუშავებია, ხუთი უნივერსიტეტი დავამთავრე სამ სხვადასხვა ქვეყანაში, ბევრი მიღწევები მაქვს მეცნიერებაში, რესურსების მართვაში, ინფორმაციულ სისტემებში, მაღალ ტექნოლოგიებში. დღეს ისეთი დროა, რომ ინფორმაციული ტექნო-

ლოგიები ყველაზე შეიჭრა, ვგეგმავ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, რათა ქალაქი უფრო წარმოვარჩინო. სხვათა შორის, ბევრი ქუთაისელი ახალგაზრდა მინახავს, ძალიან ძლიერ უნივერსიტეტებში დაუხმარებლად რომ გაუკავფავთ გზა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახალგაზრდობას უნდა დავეხმაროთ. მინდა, ახალგაზრდებთან მქონდეს კონტაქტი, რომ უფრო გავიგო მათი პრობლემები, შევქმნათ საბჭო, რომ თვეში ერთხელ მოვაწყოთ შეხვედრა.

— რამდენად პრინციპული ხართ გადაწყვეტილებების მიღებაში და შექმნით თუ არა პოლიტიკური ზეწოლისაგან თავის დაცვას?

— მე ვარ პრინციპული. უპრინციპოდ მე ასეთ წარმატებებს ვერ მივალწვევი ცხოვრებაში. ჩემს პრინციპულობაზე მიუთითებს ის ნაბიჯი, მე რომ ქუთაისში ვარ. ფაქტობრივად, ის, რაც მე ცხოვრებაში განვაითარე, ამერიკაში დავტოვე და წამოვედი. ეს პრინციპული გადაწყვეტილება იყო.

— არ გაგიჭირდათ ამ გადაწყვეტილების მიღება?

— მე ერთ წელიწადში მიინც გადავდამდი ამ ნაბიჯს იმიტომ, რომ შვილები მეზრდებიან და ენა არ იცინა. მე ქართველი ვარ და შვილები რომ ამერიკული ინგლისურით მესაუბრებიან, ცოტა მძიმეა. ჩვენ წმირად ჩამოვდივართ, მაგრამ სხვა არის, როცა აქ ცხოვრობ, გარემოს აქვს დიდი მნიშვნელობა.

— თქვენი მეუღლე როგორ შეხვდა

ამ გადაწყვეტილებას?

— ძალიან კარგად. ჩემი მეუღლე წარმოშობით ფრანგია, გაზრდილი არის ამერიკაში და შემთხვევით შევევლით ერთმანეთს. ისიც დოქტორი არის ინფორმაციულ სისტემებში, თავდაცვის საკითხებზე და კიბერშეტევებზე მუშაობს. იქ სხვა ცხოვრება არის, თითქმის მოწყვეტილი ხარ ყველაფერს და ჩვენ ძალიან კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

— ადაპტაცია არ დაგჭირდებოდა?

— იცით, ეს ადამიანი შეა დამოკიდებული. მე მიყვარს ძალიან უბრალო ხალხი, უბრალო ადამიანს უფრო დავუღალაპარაკებ. მე რომ ჩამოვედი, ქალაქში გავედი ფეხით და ვინც სახეზე მიცნო, ყველას ძალიან უყვირდა, ფეხით რომ დავდიოდი. მერე რა, რომ მერი ვარ, მე მინდა, რომ გამოჩნდეს და ხალხს დავუღალაპარაკო. მე არ მიყვარს ჩემი თავის ვინმეზე მეტად ჩვეება. მე მგონი, ასე უფრო სჯობს. მე ვარ მშრომელი ადამიანი და ფულის მოპარვა არ მაინტერესებს. ის ფული, რაც გამოიყოფა, ჩემი ამოცანა იქნება, დაიხაროს ქალაქს. როგორც დავინახე, ხალხი დაძაბულია, მაგრამ მე პიროვნებებს არ ვუყურებ, მე ვუყურებ თანამდებობებს და პოზიციებს, თუ რა სჭირდება ქალაქს. ერთ დღეში ამას ვერ დალაგებ, მაგრამ, როცა დაიწყება პროცესი, როცა დაიწყება გამჭვირვალობა, ეს ყველაფერი დალაგდება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გაეოგხელება განათლების სამინისტროს წინააღმდეგ საქონსტიტუციო სასამართლოს მიერ

საქართველოში არსებული 7 გამომცემლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების იმ დებულებების არაკონსტიტუციურობად ცნობის მოთხოვნით მიმართავენ, რომლის საფუძველზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მათ მფლობელობაში არსებულ საავტორო უფლებები მიითვისა.

გამომცემლობებს სამართლებრივ დახმარებას საკონსტიტუციო სასამართლოში საქმისწარმოებისას საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) გაუწევს.

2013 წლის 8 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გააყურა ინიციატივა სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის შესახებ. სარჩელზე ხელმოწერი გამომცემლობები აღნიშნული ინიციატივის მიმართ კიდევ ერთხელ გამოხატავეთ დადებითი დამოკიდებულებას, თუმცა, ამავდროულად, მიეჩინეთ, რომ ის არ უნდა განხორციელდეს ჩვენი უფლებების დარღვევის ხარჯზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წლის 25 თებერვალს გამოცემული ბრძანებით დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი. აღნიშნული წესის თანახმად, გამომცემლობები დაეკისრათ ვალდებულება, წინასწარ განეცხადებინათ თანხმობა მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს საავტორო უფლებების სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ, ხოლო სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების შემდეგ საავტორო უფლება ხელშეკრულებით გადაეცათ სამინისტროსათვის. ამავე ბრძანებით, სამინისტროს მინიჭებული აქვს შესაძლებლობა, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომ-



დინარე, საავტორო უფლების გამოყენების უფლება გადასცეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

აღნიშნული ბრძანებით სამინისტრომ გამომცემლობებს შეუზღუდა საკუთრების უფლება (თავისუფლად განკარგონ საკუთრება) და, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ მიითვისა მათი საავტორო უფლებები. ზოგადად, მსგავსი უფლებები (ლიცენზია) წარმოადგენს საკუთრების უფლებით დაკუთვნილი სივრცის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ რამდენიმე საქმეში განსაზღვრეს, რომ ლიცენზია წარმოადგენს საკუთრების უფლების საგანს, თუკი პირს გააჩნდა იგი და ჰქონდა შემოსავლის მიღების გრძელვადიანი მოლოდინი. კონკრეტულ შემთხვევაში, სამინისტრომ საკუთარი ბრძანებით შეზღუდა გამომცემლობათა საკუთრების უფლება, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 23-ე მუხლის მოთხოვნებთან, რომელთა მიხედვითაც საკუთრების უფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონის მიერ და არა კანონქვემდებარე აქტით (მინისტრის ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტს).

მოსარჩელები სადავო ნორმებს არაკონსტიტუციურობად მივიჩნევთ იმის გათვალისწინებითაც, რომ დაწესებული შეზღუდვა არღვევს საკუთრების უფლების არსს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.“ როგორც აღვნიშნეთ, სადავო ნორმებით დაწესებული შეზღუდვა, საავტორო უფლების მფლობელად აქცევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. შესაბამისად, სამინისტრომ თავად გადაწყვიტა რა, ესარგებლა ამ უფლებით, ფაქტობრივად, საავტორო უფლების სხვა მფლობელთა მიერ საკუთარი უფლებით სარგებლობას საფუძველი დაუკარგა, რადგან სხენებული ნაწარმივები ზოგადსაგანმანათლებლო პროცესისთვის იყო განკუთვნილი და მათი სხვა სახით გამოყენება შეუძლებელია. სამინისტრო თავის საჯარო განცხადებებში ცდილობს, აღნიშნუ-

ლი პროცესი წარმოაჩინოს როგორც ჩვენს შორის არსებული სახელშეკრულებით (კერძო) ურთიერთობა, რითაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. რომ არა გამომცემლობებისათვის სადავო ბრძანებით დაწესებული ნორმატიული ვალდებულება, ლიცენზიის ხელშეკრულება დაგველო სამინისტროსთან, გამომცემლობები, ბუნებრივად, საკუთარ საავტორო უფლებებს სამინისტროს არ გადაეცემდით.

დღესათვის სამინისტრო თავისივე არაკონსტიტუციური აქტის საფუძველზე მოპოვებული საავტორო უფლებების გამოყენებით ახდენს სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვას და გვემავს მათ გავრცელებას, რაც, ბუნებრივად, იწვევს გამომცემლობათა საკუთრების უფლების დარღვევას.

გამომდინარე შემთხვეულიდან, ხელმოწერი გამომცემლობები მივმართავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოვითხოვთ, არაკონსტიტუციურობად იქნას ცნობილი სხენებული ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თ.ა) და თ.ბ) ქვეპუნქტები, მე-10 მუხლის ბ) ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტები, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნებს.

გამომცემლობათა ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) დაიცავს.

შპს „გამომცემლობა ინტელექტი“  
შპს „გამომცემლობა არტანუჯი“  
შპს „გამომცემლობა „ლიოვენე“  
შპს „ლოგოს პრესი“  
შპს „ბაკურ სულაველიანი“  
გამომცემლობა „შპს „ტრიასი““  
ფიზიკური პირი — ირინა რუხაძე

# „პოლიტიკური ბრძოლის უახვი ადვოკატი, ამიტომ სტილიანი, ზურგს უკან ამოეფარონ“

## პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ ქუთაისის ახალ მერთან

მე-2 გვერდიდან

— თქვენ მოიაზრებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურად. მართლა თუ იყო ისეთი ადამიანი, ვინც დაგირებად და მერობა შემოგთავაზათ?

— თქვენ უნდა იცოდეთ ერთი რაღაც — თქვენ მიყურებთ ისეთ პიროვნებად, თითქოს ვიღაცამ დამირება, მიიხრა, აი, დიმიტრი, ჩამოდი და მეც ჩამოვდი. აქ ცოტა სხვანაირად მოხდა: მე მაქვს ძალიან მრავალმიმართულებიანი კავშირები, უფროსი თაობიდან, ჩემი ოჯახიდან, მეგობრებიდან. მე როდესაც ვაპირებდი წამოსვლას, ეს ხმა, როგორც ისარი, ისე გავარდა სხვადასხვა მიმართულებით.

მე ვფიქრობდი ადრე სამეცნიერო მიმართულებით დაბრუნებას, მქონდა წინა ხელისუფლებასთან დაკავშირების ცდები, პრაქტიკულად, როდესაც 2007-ში დავამთავრე ჩემი სადოქტორო, ვაპირებდი დაბრუნებას. მაგრამ აქ ყველა პოლიტიკურ პროცესებზე იყო გადართული და არავის ეცალა. ყველა ქართულ ტელეარხს ვადევნებდი თვალს და ძალიან ინფორმირებული ვიყავი, რაც ქუთაისში ხდებოდა. ეს იყო ჩემი ინიციატივა, უბრალოდ, პროცესებმა დააჩქარა, რომ აქ ჩამოვსულიყავი. მე ვარ ობიექტური და არავითარი პოლიტიკური გადახრები არ მაქვს. მაგრამ ხალხი დაიბნა, ფრაქციის შეგვხვდა და თქვეს, რომ მე იმ ფრაქციის მხარეზე ვარ. არავის მხარეზე არ ვარ, ვუსმენ ყველას და, რაც ქალაქს გამოადგება, იმ პოზიციას დავიჭერ.

— არსებობს ინფორმაცია, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ენდობთ, არის თენგიზ თოფურაძე. რამდენად არის სწორი ეს ინფორმაცია და რამდენად ახლოს იცნობთ მას?

— როცა მოვედი, ვილაცასთან უნდა მქონოდა კომუნიკაცია. დოკუმენტაციის მოწესრიგების პროცესში შეგვხვდა მას. ვეძებ გუნდს, დაველაპარაკებდი ყველას, ვინ ვინ არის და ობიექტური გადაწყვეტილება უნდა მივიღო. მე ვუყურებ თანამდებობას, და ვუყურებ, ვის რისი გაკეთება შეუძლია, რათა შეიქმნას ის გუნდი, რომელსაც მე დავუყვარდები.

— ნებოტიზმს რამდენად აუვლით გვერდს?

— ჩემი ახლობლებისთვის პირველი შოკი იყო, როდესაც მოგვხვდა ინგლისში. მეორე შოკი — ამერიკაში, მესამე შოკი — როდესაც საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე და მეოთხე შოკია ქუთაისში ჩემი ყოფნა. ჩემს ირგვლივ ყველა დაიბნა და რაღაც ვაკუუმით შეიქმნა, მეგობრებს უფრო უჭირთ ჩემთან კონტაქტი. სამაგიეროდ, ვინც კი ხელს ჩამომართმევს, იქვე მეგობრად აღმოქმდები. ბევრის გვარები დასახელდა, რომელთაც არც კი ვიცნობ. მე ყველა გადაწყვეტილებაში ვიქნები ობიექტური.

— ვიცე-მერების თემა არის საინტერესო, სამი კანდიდატურა დასახელდა...

— მართალი ვითხრათ, ეგ გვარები გუშინ პირველად გავიგონე. ყველას ვუთხარი, რომ ჩემთვის მთავარია, გუნდი იყოს მომუშავე, სანდო. ეს ხალხი უნდა შევისწავლო და ვნახო, ყველას უნდა დაველაპარაკო და მივიღო გადაწყვეტილება. უხერხულ მდგომარეობაში ვარ იმის გამო, რომ არც ვიცნობ ამ ხალხს. აქ უნდა მივიღო პოლიტიკურად კორექტული გადაწყვეტილება იმიტომ, რომ არ შეიძლება სხვანაირად. არც ერთ პარტიაში რომ არ ვარ და არ მაქვს პო-



დიმიტრი კობალიანი:

დაიბადა 1970 წლის 2 ივნისს ქ.ქუთაისში.

**განათლება:**

1987-1991 წწ. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი — წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და მართვა, 1991-1992 წწ. უელსის უნივერსიტეტი — კომპიუტერული მეცნიერება ბიზნესში (HND, ნიუპორტი, დიდი ბრიტანეთი), <http://www3.newport.ac.uk/index.aspx> 1992-1996 წწ. ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი — მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხი (BS, დეტროიტი, მიჩიგანის შტატი, აშშ), <http://www.ltu.edu> 1996-1999 წწ. მიჩიგანის უნივერსიტეტი — კომპიუტერული მეცნიერების და საინფორმაციო სისტემების მასტერის სამეცნიერო ხარისხი (MS, დეტროიტი, მიჩიგანის შტატი, აშშ) <http://www.umich.edu> 2003-2007 წწ. ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი — დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (Ph.D) საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტში. (დეტროიტი, მიჩიგანის შტატი, აშშ) <http://www.ltu.edu>

**პროფესიული გამოცდილება:**

1993-1994 წწ. ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი — საინჟინრო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ლაბორატორიის კონსულტანტი (საუზფილი, მიჩიგანის შტატი, აშშ); 1994-1996 წწ. გამოვლითი სისტემების კომპანია — პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამისტი (ტროი, მიჩიგანის შტატი, აშშ); 1996-1999 წწ. ჰაილტონის ჯგუფის კომპანია — განვითარების ტელემარკეტინგის მენეჯერი (ბლუმფილდ ჰილსი, მიჩიგანის შტატი, აშშ); 1999-2000 წწ. საერთაშორისო კვალიფიციური მომსახურების კომპანია — გამოყენებითი პროგრამების განვითარების მენეჯერი, (ბლუმფილდ ჰილსი, მიჩიგანის შტატი, აშშ); 2000 წ. დღემდე — QEK საერთაშორისო კომპანია — საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების დეპარტამენტის დირექტორი, წამყვანი არქიტექტორი (ბლუმფილდ ჰილსი, მიჩიგანის შტატი, აშშ); 2007 წ. დღემდე — ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი (დეტროიტი, საუზფილი, აშშ); კითხულობს ლექციებს სადოქტორო და მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის სტუდენტებთან საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში.

ლიტიკური მიმართულება, ეს, ერთი მხრივ, კარგია, თუმცა, ფაქტობრივად, ყველა ეჭვის თვალთ მიყურებს და მართლაც ვარ.

— თუმცა, „ქართული ოცნების“ რიგითი მხარდამჭერიც კი იმას ამბობს, რომ ჩვენს კაცი მოვიყვანეთო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს დამოკიდებულება თქვენს მიმართ?

— ეს არის ძალიან კომპლექსური სიტუაცია. ყველა ცდილობს, რომ ასოცირებული იყოს ჩემთან. აი, მაგალითად, „ოცნება“ ან „პატრიოტები“ — ყველა შეეცადა, რომ ჩემთან რაღაც კავშირი ჰქონოდა. ვუთხარი: ყველას დაგელაპარაკებით და მოვისმენთ-მეთქი.

— თუმცა, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა დიად თქვა, რომ თქვენ ივანიშვილის კანდიდატი ხართ და საჭარო მხარდაჭერაც გამოგიცხადათ. მათ ადგილობრივ ხელმძღვანელს, გოჩა თევდორაძესაც მოიაზრებენ იმ ადამიანად, ვინც პოლიტიკურ რჩევებს გაძლევთ...

— მე ვარ უნიკალური შემთხვევა — განათლებით, გამოცდილებით, ყველა ცდილობს, რომ ჩემს უკან მოიაზრებოდეს. აქ მიდის პოლიტიკური ბრძოლა და მე ამ ბრძოლის უ-

სამსახურში — რვა საათიდან ექვსი საათი უნდა იმუშაო დღეში, სხვაგვარად ვერ განვითარდები. როდესაც ჩამოყალიბდება ბიზნესკლიმატი, ეს ყველაფერი სხვა ფორმაში გადავა.

— პირველი მესიჯი „ნაციონალებისგან“ იყო ის, რომ არ მოხდეს პოლიტიკური ნიშნით კადრების გათავისუფლება. როგორ აპირებთ პროფესიონალითა და პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ადამიანის გარჩევას?

— პროცესი სწორად უნდა დაიწყოს, უნდა მოხდეს ფილტრაცია სხვადასხვა კრიტერიუმით. ცოდნასა და პროფესიონალიზმს საკონკურსო პროგრამაში დიდი ყურადღება მიექცევა. და რადგან არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ წარმოვადგენ, ყველას უნდა მოუფსმინო. ხვალ თუ შეიტყობთ, რომ „ნაციონალებს“ ველაპარაკებ, ეს, უბრალოდ, იმისთვის იქნება, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მოვიპოვო მათგან.

— საბჭოთა პერიოდში ქუთაისის ფუნქციას მთლიანად საინდუსტრიო გარემო განსაზღვრავდა. 90-იან წლებში საწარმოების მოშლამ ქუთაისი უფუნქციოდ დატოვა. როგორ დატვირთვა შეიძლება ჰქონ-

**დღეს მომავალში ქუთაისის?**

— უნდა მოხდეს მარკეტინგული ანალიზი. უნდა შეგხედოთ, რისი განვითარება ღირს ამ ქალაქში. მაგალითად, რატომ უნდა ჩამოვიდეს უცხოელი აქ, რა ინტერესი ექნება აქ ჩამოსვლას, რის გამო? სწორედ რომ მარკეტინგული ანალიზი გვეტყვის ამას. მე ქალაქს ვაძლევ იმპულსებს სხვადასხვა მიმართულებით. ძალიან საჭირო არის, ქალაქს ჰყავდეს მეცნიერები, მეცნიერები დიდი ძალაა ქალაქისთვის, სადაც ისინი არიან, იქ განვითარების დონე მაღალია. უცხოეთში წასული ქართველები უნდა ჩამოვიდნენ და ადგილობრივები უნდა დასაქმდნენ.

— განათლება, რომელიც თქვენ გაქვთ მიღებული ბევრად განსხვავდება აქაური სტანდარტებისგან. ძნელი ხომ არ იქნება მაღალი სტანდარტების პატარა ქალაქის სინამდვილესთან მორგება?

— მე ძალიან დიდი სკოლა გავიარე, ფაქტობრივად, მე ვიყავი ჩემი თავის პატრონი. მე ეს გამოიმუშავდა წლების განმავლობაში და ნულიდან ყველაფრის დაწყება არ გამიჭირდება. ძალიან მძიმე პერიოდები მაქვს გავლილი, იყო დრო, დამე ვმუშაობდი, სწავლის ქირა რომ გადამეხდა, და დღე ვსწავლობდი. იმის თქმა მინდა, რომ არ გამიჭირდება ქუთაისის სიტუაციაზე მორგება.

— ბატონო დიმიტრი, ძალიან ბევრს საუბრობენ ხელფასთან დაკავშირებითაც, მართლა მოითხოვთ 17 ათასი ლარი?

— ეს, უბრალოდ, ჭორია. ხალხი ეჭვის თვლით უყურებს ჩემს გადაწყვეტილებას, ვერ იგებენ, რატომ უნდა წამოვიდეს ადამიანი ამერიკიდან, რა უნდა გააკეთოს ქუთაისში. ჩემი შემთხვევა, მართლაც უპრეცედენტო რამ იყო. ამ მხრივ, მე მართლა უნიკალური ვარ.

— გათავაზობთ თუ არა განათლების მინისტრობას?

— როდესაც ნახეს ასეთი ძლიერი მონაცემები, უბრალოდ, თქვეს, რომ ასეთი მონაცემების ადამიანმა სამინისტროში უნდა დაიწყოს მუშაობა. უბრალოდ, ვილაცას გაუჩნდა ეს იდეა, რაც მერე ჭორად გავრცელდა.

— გარდა იმისა, რომ ძალიან ცნობილი და წარმატებული ოჯახი გაყავთ ქუთაისში, როგორც ცნობილია, ნომინანტიც გაყავთ ოჯახში.

— დიას, ჩემს ბიძას, უყრბა კობალიანს ნობელის პრემია აქვს მინიჭებული ჰიდროლოგიის დარგში. ის დღემდე ჰიდროლოგიის ინსტიტუტის დირექტორია სანკტ-პეტერბურგში. პროფესორია მედიცინის დარგში მეორე ბიძაც, ამირან კობალიანი. პროფესორები არიან ჩემი მშობლებიც. მე ბაბუის დიმიტრი კობალიანის სახელს ვატარებ, რომელსაც ქალაქი ასევე კარგად იცნობდა. ასე, რომ ჩემი ოჯახი ჩემთვის დიდი სტიმული მომიქმია, და ამავე დროს ერთგვარი პასუხისმგებლობაც.

— ყველზე მეტად რა გენატრებოდათ ქუთაისში?

— მე ჯაჭვის ხიდზე გავიზარდე, იქ გავატარე ჩემი ბავშვობა, და ის ადგილი და ის დრო, მართლაც, ყველაზე მეტად მენატრება ხოლმე.

— როგორ შეეგუებოდათ თქვენი შვილები მათთვის განსხვავებულ გარემოს?

— ალექსანდრე და თეოდორე რვა წლის ტყუპები არიან, ხუთი წლის არის ნიკოლოზი. შარლონი გელათში მოგნათლეთ. ძალიან აქტიური და გონიერი ბავშვები არიან. აქ ყოფნასაც მიეჩვევიან. ქუთაისში რომ გავაყვას, უკვირთ, ძირს ნავავი რომ არის დაყრილი. თუ სადმე დაინახავენ ქალაქს ან ბოლოს, მაშინვე დასუფთავებას იწყებენ. არა მგონია, ჩემს ოჯახს აქ ყოფნა გაუჭირდეს, წლებია დაბრუნებაზე ვფიქრობთ და ფსიქოლოგიურადც მომზადებულები შეგვხვდით ამ გადაწყვეტილებას.

ხალხის აზრი

რას ფიქრობენ ქუთაისელები მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით?



მარინა სულაევილიძე

მარინე სულაევილიძე, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი: „არ ვიცი, რა შედეგები მოჰყვება მარიხუანას ლეგალიზებას ან აკრძალვას...“

დავით ჯანელიძე, იურისტი: „რაც აკრძალულია, უფრო მიმზიდველია, განსაკუთრებით — ახალგაზრდებში...“



გიორგი გირაძე

გიორგი გირაძე, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი: „მიზანშეწონილად მიმაჩნია მარიხუანას ლეგალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მსგავსად...“



ვახტანგ ზამბაჩაშვილი

ვახტანგ ზამბაჩაშვილი, არქეოლოგი-ატორიზმის ფაკულტეტის სტუდენტი: „აუცილებლად უნდა დაისაჯოს მარიხუანას მომხმარებელი...“

რევაზი, იურისტი: „კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მარიხუანას ლეგალიზაციის...“

ჟანა ჯანელიძე

მარიხუანას დეკრიმინალიზაცია — საფრთხე თუ პოზიტივი?



პირველი გვერდიდან

საზოგადოების აზრი, ისევე როგორც თითქმის ყველა შემთხვევაში, ამჯერადც ორად იყოფა. ნაწილი მიიჩნევს, რომ მარიხუანა მისი ძლიერი ფსიქოაქტიური თვისებების გამო, საზოგადოებრივი პროცესებისადმი მომხმარებლის ინტეგრირებულ დამოკიდებულებას გამოიწვევს, ნაწილი კი თვლის, რომ პირიქით — მარიხუანას გამოყენება მხოლოდ პოზიტიურად განაწილებს ადამიანს და იგი განმრთავლებს ისეთი სახის არ არის.

რა ც შეეხება საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას, საქართველოს პარლამენტის განდევნის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განმარტებით, საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და შესაძლოა, სისხლის სამართლის ნაცვლად, მარიხუანას მოხმარებაზე ადმინისტრაციული სასჯელი დაიწესდეს.

რა უარყოფითი თვისებებით ხსიათ-დება მარიხუანა, იგივე კანაფის ფოთოლი და რა საფრთხეებს შეიცავს მისი ლეგალიზება-დეკრიმინალიზაცია?

ამ საკითხებზე სპეციალისტები გვესაუბრებიან. „მართალია მარიხუანას „მსუბუქ“ ნარკოტიკს უწოდებენ, მაგრამ იგი ბირდაპირ მოქმედებს თავის ტვინზე, ასევე სისხლძარღვებსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე...“

კანაფის თესლი და მისგან დამზადებული შინაური წამლები აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად...“

იგი აღმოჩენილია ძველი ეგვიპტის სამარხებშიც და თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლით. კანაფის, იგივე კანაბისის სამშობლოდ ცნებულს არქეოლოგი აზია ითვლებს...“

კანაფის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებდნენ...“

მეოცე სუკუნის დასაწყისში კანაფის მოწვევა, ძირითადად, გავრცელებული იყო ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაქირავებული მუშაკების შორის...“

სწორ პოლიტიკაში, პრევენციის სწორ სტრატეგიაში, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობაში...“

რა ც კრიმინალის სტატუსი და არც ადმინისტრაციული ჯარიმა გადაჭრის პრობლემას...“

მარიხუანას ისტორია და მისი გამოყენება კანაფი Cannabis Sativa, როგორც სამკურნალო და მსუბუქი თრობის პოპულარული საშუალება...“

კანაფის თესლი და მისგან დამზადებული შინაური წამლები აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად...“

იგი აღმოჩენილია ძველი ეგვიპტის სამარხებშიც და თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლით...“

კანაფის, იგივე კანაბისის სამშობლოდ ცნებულს არქეოლოგი აზია ითვლებს...“

კანაფის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებდნენ...“

მეოცე სუკუნის დასაწყისში კანაფის მოწვევა, ძირითადად, გავრცელებული იყო ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაქირავებული მუშაკების შორის...“

მუა საუკუნეებიდან მოყოლებული, კანაფი ხან ზნეობრივი სპეკულაციის საგანი იყო, ხანაც განიხილებოდა როგორც ეკონომიური სარგებლის მომტანი მცენარე...“

ლამებებისა და კანდელებისთვის გამოიყენებოდა...“

რა იყო კანაფის თავდაპირველი დანიშნულება — მისი გამოყენება სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, თუ ე.წ. თრობის თვალსაზრისით...“

მარიხუანას ბრძოლა ერთ-ერთმა პირველმა სამხელელოებამ გამოუცხადა...“

გარდა სამხელელოების პროტესტისა, წყაროების მიხედვით, მარიხუანას წინააღმდეგ ბრძოლა ნავთობის მაგნეტებზე გამოუცხადებელი, რომლებმაც ზეთის დამზადების ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება სცადეს...“

1864 წელს ეგვიპტე გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც კანაფი საშიშ და განმრთავლობისთვის საზიანო მცენარედ ჩათვალა...“

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მარიხუანამ ნარკოტიკული საშუალებების კვალიფიკაცია მიიღო...“

მარიხუანას გამოყენება მედიცინაში

1937 წლამდე ამერიკულ ფარმაკოპეაში კანაფი ითვლებოდა 100-ზე მეტი სხვადასხვა დაავადების სამკურნალო ძირითად პრეპარატად...“

ხალხის აზრი

რას ფიქრობენ ქუთაისელები მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით?

ნოდარ მიქაბერიძე, მკერავი: „აღამი-ანმა ცხოვრებაში, თუნდაც ერთხელ, ყველაფერი უნდა გასინჯოს...“

ციცო კერესელიძე, დიასახლისი: „ჩემი მულიშვილი მარიხუანის მოხმარებისთვის ერთხელ დაჯარიმეს და ერთხელ ციხეშიც ჩასვეს...“

მამუკა დავითაძე: „მარიხუანა საერთოდ ასაკრძალია...“

გიორგი სვანიძე, დისტრიბუტორი: „მე ავადმყოფად მიმაჩნია მარიხუანის მოხმარებელი...“

გიორგი სვანიძე

ეს არ არის, მე გეგონი, გამოსავალი, რადგან ახლაც არის მსგავსი სასჯლის ფორმა...“

ზურაბ მშენიერაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი: „უნდა იყოს სასჯლის რალაც ფორმა...“

ზურაბ მშენიერაძე

ეს არ უნდა განისაზღვრებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით...“

დავით დარბაიძე, მკერავი: „არა, არანაირად არ უნდა დაუშვან მარიხუანას ლეგალიზაცია...“

დავით დარბაიძე

დასჯაც სხვა საკითხია...“

მარი პაპარიანი

ჟანა ჯანელიძე

# აკვანთები „aisaf“-ის მიხედვით 7 ქართველი ჯარისკაცის სიზოზოზლა ემსხვერპლა

6 ივნისს, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების 7 მოსამსახურე დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰელმანდის პროვინციაში, ქართულ მოწინავე ბაზასთან, თავი თვითმკვლელობა ტერორისტმა აიფეთქა.

ტერორისტთა თავდასხმას ემსხვერპლნენ: თეიმურაზ ორთაიძე, გიორგი ადამოვი, ზურაბ გურგენაშვილი, მიხეილ ნარინდოშვილი, ბორის ცუგოშვილი, ზვიად სულხანიშვილი, გიორგი ლუჭავიძე.

აფეთქების შედეგად დაჭრილია 9 ქართველი სამხედრო მოსამსახურე.

მომხდარის გამო 7 ივნისი გლოვის დღედ გამოცხადდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო სახელმწიფო დროშები.

„ეს დანაკლისი, მთელი შეიარაღებული ძალებისთვის უმძიმესი დარტყმაა, მაგრამ, მიუხედავად ამ თავდასხმებისა, ქართველი სამხედროები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას იცავენ საერთაშორისო მისიაში, უკან არ დაიხევენ. ყველა ქართველი სამხედრო მოსამსახურე სრულ მზადყოფნაშია, ბოლომდე შეასრულოს მისი დადგინებული მისია და დაცვა საერთაშორისო უსაფრთხოება.“ — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ქართველი სამხედროების ავღანეთში დაღუპვის გამო სამხმარი გაავრცელა პრემიერ-მინისტრის აპარატმაც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

„ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული გმირების წინაშე. სამხმარის ვუცხადებ და თანაგრძობა მთელ საქართველოს, ვიზარებ თითოეული ჯარისკაცის ოჯახის უდიდეს ტკივილს, ტკივილს, რომელსაც ვერაფერი გაანულებს.“ — ნათქვამია პრემიერის სამხმარის წერილში.

მომხდარს გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ღრმა მწუხარება გამოთქვა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო.

აღსანიშნავია, რომ ქართველი სამხედროების ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პარალელურად, YouTube-ზე თალიბანის სახელით გავრცელდა ვიდეო სახელწოდებით — „ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ“. არაოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ვიდეო, რომელიც ისაფის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების



წინააღმდეგ მუქარას შეიცავს, სავარაუდოდ, საქართველოდან აიტირთა. ვიდეოს წარმომავლობის დასადგენად გამოიყენა მიმდინარეობს. YouTube-ზე გავრცელებულ ვიდეომასალაში ნათქვამია, რომ მსგავსი ბედი ავღანეთში თითოეულ ქართველს ელოდება და ასევე მათ, ვინც

ისინი ავღანეთის მიწაზე გაგზავნა. ვიდეო მუქარას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართაც შეიცავს და ხაზგასმულია, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ავღანეთში თალიბან ტერორისტთა

თავდასხმებს საქართველოს შეიარაღებული ძალების 10 ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. სულ, aisaf-ის მისიაში 30 ქართველი სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.

მარი პაპარაია

## თურქეთის მთავრობა ამერიკას აკრიტიკებს

თურქეთის მთავრობა ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების შესახებ ამერიკას და საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას აკრიტიკებს.

ასეთი შეფასება მათ პოლიციის თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან, ჯონ კერისთან სატელე-

ფონო საუბრისას მისცა. „მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება მსგავსი მასობრივი გამოსვლები და პროტესტი ხელისუფლების მიმართ. ამაში განსაკუთრებული არაფერია და არც თურქეთი გამონაკლისი. დემონსტრაციები, როგორც სხვა ქვეყნებში, თურქეთშიც, შესაძლოა, განხილვობდეს, როგორც გამოცდა დემოკრატიული სისტემისთვის.“ — განაცხადა ჯონ კერისთან

საუბრისას აჰმედ დავითოღლუმ. თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში პროტესტი აღიქმება, როგორც რიგითი გამოხატულება დემოკრატიული მმართველობისა, თურქეთში კი მიმდინარე დემონსტრაციები აღქმულ იქნა, როგორც საგანგებო მოვლენა.

„თურქეთი არ არის მეორეხარისხოვანი

დემოკრატია.“ — აღნიშნა აჰმედ დავითოღლუმ.

შეგახსენებთ, რომ საპროტესტო აქციები თურქეთში ათი დღეა მიმდინარეობს. დემონსტრაციები სტამბულში გეზის პარკის განადგურების წინააღმდეგ ორგანიზებული ეკოლოგიური აქციით დაიწყო. მოგვიანებით, პარკის დასაცავი შვილობიანი აქცია ანტი-სახელისუფლებო მიტინგებში გადაიზარდა.

ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე მოუხადა ბოდიში დემონსტრანტებს და და-

მო პოლიციის მიერ ძალის გადამტყდება.

მიუხედავად ამისა, მასობრივი საპროტესტო აქციები არ წყდება. საერთაშორისო მედიის ინფორმაციით, პროტესტში მონაწილეობს თითქმის ყველა, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირების შედეგად გარდაიცვალა 3 ადამიანი, ხოლო 3 ათასზე მეტი მძიმედ დაშავდა, მათ შორის — 14 ჟურნალისტი.

ნაზი პარანიძე psnews.ge

# რელიგია კანონიერების ჭრილზე

### უნდა გახდეს თუ არა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია?

რელიგიის თემა ჩვენს ქვეყანაში, რატომაც, ტაბუდადებულია და მისზე საჯარო საუბარი არ შეიძლება, თუმცა ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა მდგომარეობამ, ანალიზის თუ არა, კომენტარის გაკეთების უფლება ყველას მისცა.

17 მაისს თბილისში განვითარებული მოვლენების დროს რამდენიმე სასულიერო პირის არაადეკვატური რეაქცია გახდა მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში ეკლესიის როლი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა დინტერესებულმა მხარემ მომხდარი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და, ნებისთნე უნებლიეთ, მორწმუნეთა გაღიზიანება გამოიწვია.

ასევე რთული საკითხია რელიგიური უმცირესობების და მართლმადიდებელი ქართველების თანაცხოვრება. აღნიშნული საკითხი გაცილებით მწვავედ დგას რაიონებსა და სოფლებში, სადაც, საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობის გამო, პრობლემა უკიდურესად მწვავე ხასიათს იღებს და საკითხი ხელჩართულ ჩხუბში გადადის ხოლმე.

მართლმადიდებლები ეწინააღმდეგებიან მათ სიახლოვეს მეჩეთის თუ სხვა რელიგიის სალოცავების მშენებლობას და თხოვენ მათი, როგორც ამ ქვეყნის ძირითადი ნაწილის, უფლებები დაცული იქნას, თავის მხრივ კი რელიგიური უმცირესობები სახელმწიფოს მიერ აღიარებული კანონიერი უფლების დაცვას მოითხოვენ.

სწორედ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, 5 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის პროექტის — „დასავლეთ საქართველოს სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიის“ ფარგლებში გაიმართა დისკუსია თემაზე „რელიგიის თავისუფლება კანონმდებლობასა და რეალობაში“.

როგორც მომხსენებელმა ნათია გოდუაძემ აღნიშნა, „მეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დამსწრე საზოგადოებისათვის რელიგიის თავისუფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და საქართველოს რეალობაში ამ გარანტიების განხორციელების ანალიზი.“

მეხვედრაზე განიხილეს ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის რამდენიმე მოდელი. საუბარი შეეხო აღმსარებლობის თავისუფლების თემას, კონსტიტუციით მონიჭებულ გარანტიებს და რეალობას — რელიგიურ ნიადაგზე მოხშირებულ ძალადობის ფაქტებს.

კანონმდებლობაში რელიგიის თავისუფლებაზე ისაუბრა საია-ს ქუთაისის ორგანიზაციის პროგრამების დირექტორმა ნოდარ ჯიქიამ: „დღეს შეკრებილი აუდიტორია არის როგორც სტუდენტ-ლექტორები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მისასალმებელია, რომ სტუდენტების ინფორმირება ხდება. სწორედ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო, ეს თემა ძალიან პრობლემურია. რაც შეეხება „საია“-ს დამოკიდებულებას რელიგიურ საკითხებთან და სხვადასხვა

სარწმუნოების მიმდევართა უფლებების დაცვასთან, ამაზე მუშაობა დღეს არ დაგვიწყია, დღიდან დაფუძნებისა ვეცებით ამ თემას. ყოველთვის გვქონდა ჩვენი პოზიცია, სახელმწიფოში უმცირესობების უფლებების დასაცავად. კარგია, რომ ბოლო პერიოდში გაჩნდა ძვრები ხელისუფლების მხრიდან. რელიგია და სახელმწიფო უნდა განცალკევდნენ ერთმანეთისგან. აღსანიშნავია, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან იყო მიზიწება საპატრიარქოსათვის მანქანების გადაცემისთან დაკავშირებით, რაც მათი მხრიდან კარგ შეხებად არ იქნა აღქმული. მისასალმებელია, რომ ახალი ხელისუფლება აღიარებს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის კანონიერ უფლებას, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა, ეთნიკური წარმოშობისა და სოციალური სტატუსისა. თუმცა, უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ მხრივ სიტუაცია და საქმე მაინც და მაინც ერთი არ არის.“

ეკლესიის უფლებებსა და ვალდებულებებზე საუბრობს საია-ს იურისტი გიორგი გაციანიძე: „ეკლესიის გააჩნია უფლებები, მაგრამ ამ უფლებებს არ მოჰყვება ვალდებულებები. იგივე ანგარიშგანხილვები საბიუჯეტო თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით. ეს არის სერიოზული პრობლემა, რაც აუცილებლად უნდა გადაწყდეს.“

კონკრეტული არსებობაში პრობლემა და დარღვევა არ არის, თუმცა დარღვევა იმ მხრივ, რომ ეკლესიას ამ კონკრეტული ბეჭედი პრივილეგია გააჩნია, მათ შორის — სავადასახადო შეღავათები, რითაც ვერ სარგებლობენ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. კარ-

გი იქნება თუ მოხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, არა მხოლოდ ვიწრო ორგანიზაციების კუთხით, არამედ მოხდება იგივე რაიონებში და სოფლებში მოსახლეობის ინფორმირება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, რათა მივიღოთ ტოლერანტული საზოგადოება. სწორედ ინფორმაციის არქონა ხდება დაპირისპირების მიზეზი.“

მეხვედრას ესწრებოდნენ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებიც. მათი განცხადებით, სახელმწიფო მათი დაცვის კუთხით გარკვეული სახის სისუსტეებს იჩენს. მეხვედრაზე ასევე მიწვეული იყვნენ სასულიერო პირები, თუმცა, დისკუსიას მართლმადიდებელი ეკლესიის არცერთი წარმომადგენელი არ დასწრება.

საუბარი შეეხო მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს. იურისტებს მიაჩნიათ, რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემთხვევაში, სახელმწიფოს მეტი უფლება მიეცემა, ჩაერიოს ეკლესიის საქმიანობაში, რაც თავის მხრივ, ეკლესიასაც ბევრ ვალდებულებას დააკისრებს.

მცირე გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ეკლესიის როლი სახელმწიფოში იმდენად დიდია, რომ ვერც ლებტ პირებთან და ვერც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან მომხდარმა პრობლემებმა ამ როლის შესუსტება ვერ მოახერხა, საზოგადოების დიდ ნაწილს იურისტებისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს და მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს და მისი უფლება ქვეყანაში უზენაესი უნდა იყოს.

ნესტან ჩაბალიძე psnews.ge

## მსოფლიო ბანკი გზის განახლებისთვის 75 მილიონ დოლარს გამოყოფს

საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის ხელი მოეწერა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეოთხე პროექტის“ დაფინანსების შეთანხმებას.

ფინანსთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხალაიშვილმა და მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა ჰენრი კერალომ.

პროექტის მიხედვით, მსოფლიო ბანკი შეღავათიანი პირობებით გამოყოფს, დაახლოებით, 75 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს გავრცელებულს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალისა, რომლის აშენებისთვის დაფინანსების მიზნით, დღეს მდგომარეობით, მსოფლიო ბანკის მიერ ჯამურად გამოყოფილია, დაახლოებით, 292 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი ფინანსური რესურსი. აღნიშნული სახსრებით დაფინანსდა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ალიანს-გარას მონაკვეთი და ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა რიკოტის გვირაბს.

ახლანდელი შეთანხმების თანახმად, გაკეთდება ჩქაროსნული მაგისტრალის აგარა — ზემო ოსიურის მონაკვეთი.

ნაზი პარანიძე psnews.ge

# რა უნდა იცოდეს ადამიანმა, რომლის სისხლის ჩასაბარებლად მიდის?

საქართველოში ამჟამად ხუთი სისხლის ბანკი მოქმედებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და შედარებით დიდი ისტორიის მქონეა საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი (თბილისი, ჭავჭავაძის 21<sup>ა</sup>). რამდენად საჭიროა სისხლის ბანკის პროდუქტია საზოგადოებისათვის, ამაზე ყურადღების გამახვილება არც ღირს, რადგან ყველა ადამიანს კარგად მოეხსენება მისი მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე „პოსტსოციალიზმი“ ესაუბრა საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკის დირექტორს გიორგი დოლიძეს.



გიორგი დოლიძე

ცივილიზებული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. შენ, მსგავსად სხვა პროფესიებისა (ჯარისკაცი, ექიმი, პოლიციელი, მასწავლებელი და სხვა), აქტუალური და საჭირო, აუცილებელი და სავალდებულო რგოლი ხარ ქვეყნის შენებისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

— საქართველოში უანგარო დონორთა რიცხვი ძალიან დაბალია, ხოლო ფსიანის — მაღალი. როგორია ამ მიმართულებით სტატისტიკა?

— შემიძლია გითხრა, რომ მდგომარეობა ამ მხრივ სავალალოა. შეიძლება ვთქვათ, რომ დაახლოებით, 85% განხორციელებული დონაციებისა ანაზღაურებადია, დანარჩენი 15% წარმოადგენს ნათესავი დონორებით (რომლებიც გამოყოფილი მდგომარეობის გამო აბარებენ სისხლს). უანგარო დონორებით დონაციებს აქვს სპონტანური ხასიათი, კონკრეტულ მდგომარეობაზე გათვლით. ტარდება საქველმოქმედო აქციები (მაგალითად, ონკოლოგიური პაციენტებისთვის), მაგრამ ამ აქციებს არა აქვს მასობრივი და, რაც მთავარია, რეგულარული ხასიათი.

— ამბობენ, რომ დონორი ძალიან შვირად თავად ადგენს თავის პოტენციალს სისხლის ჩაბარების დროს. როგორი სისხლია ჩაბარებული სისხლის გაღება? გამოვიდა, რომ ზოგიერთი ადამიანი პურის ფულსაც კი „აკეთებს“ დონაციით...

— საქართველოს კანონმდებლობით სისხლის დონორობა ადამიანს შეუძლია ორ თვეში ერთხელ. — ამბობენ, რომ ყველანაირი სისხლი არ არის მალაზხარისხოვანი; საჭიროა, რომ დონორი იყოს ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევარი და იკვებებოდეს კარგად.

— საკითხის ამგვარად დასმა არ არის მიზანშეწონილი. ზემოთაც აღვნიშნე, რომ არსებობს სპეციალური კითხვარი, რომელიც თითქმის სრულად ხატავს ადამიანის ჯანმრთელობას და ცხოვრების წესს. ამასთან ერთად, დონორი გაივლის სამედიცინო შემოწმებას ექიმ სპეციალისტთან. რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, კონკრეტული დონაცია მოწოდება თანამედროვე ტესტ-სისტემებით შემდგომ ინფექციებზე: ცე ჰეპატიტი, ბე ჰეპატიტი, შიდსის ვირუსი და სიფილისი.

— ე.წ. „ხარისხიანი სისხლის“ დასამზადებლად ძალიან მნიშვნელოვანია უანგარო დონორები. ვინაიდან ეს ადამიანები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვაცემენ სისხლს და, შესაბამისად, ნებისმიერ დასმულ კითხვაზე (ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის შესახებ) მათი პასუხი სიმართლეა, სინამდვილეს შეესაბამება.

— რა უნდა იცოდეს იმ ადამიანმა, რომელიც მიდის სისხლის ჩასაბარებლად? ზოგიერთის

თვის სისხლის ჩაბარება გაიგივებულია მხოლოდ ტყვილიან, ზოგიერთისთვის ეს კეთილი პასუხია, ზოგიერთისთვის — პიარის საშუალება...

— როდესაც ადამიანი დონორობას გადაწყვეტს, მან უნდა იცოდეს შემდეგი: ეს არ არის მტკიცებელი მანიპულაცია, არც ჯანმრთელობას აზიანებს (პირიქით — ორგანიზმში ამის შემდეგ იწყება სისხლის განახლების პროცესი) და სისხლის გაღებით საქველმოქმედო და უანგარო საქმე კეთდება.

მართალია — ზოგ შემთხვევაში დონორობა პიარაქციაა. ამ შემთხვევაში, პიარი უნდა გამოიყენონ კეთილი საქმის მისაბაძად. მერწმუნეთ, კეთილი საქმე გადამდებია, თანაც ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო სისხლის პროდუქტების დამზადება, ვიდრე ეს საჭიროა, ერთ სულ მოსახლეზე გათვლილია.

— ამბობენ, რომ საქართველოში ხდება სისხლის ჩაბარებით მანიპულირება. ქველმოქმედებას ამოფარებული ორგანიზაციები, ფაქტობრივად, ძალიან შვირად ვაჭრობენ არაა დაკავშირებული, რას გვეტყვი ამის შესახებ? სოციალურ ქსელებში გაუფრთხილები და დაავადებული ბავშვების სახელით მანიპულირებაც...

— საქართველოში 5 სისხლის ბანკია და მე ვერ გეტყვი, სხვები რას აკეთებენ, მაგრამ შემიძლია გითხრა შემდეგი: იმისთვის, რომ სისხლი პაციენტად მივიღეს, საკმარისი არ არის მხოლოდ სისხლის ჩაბარება. ეს პროცესი უამრავ სხვა ხარჯთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, სისხლის დამზადების პროცესს უამრავი პერსონალი სჭირდება, ასევე საჭიროა ძვირადღირებული აპარატურა, სახარჯი მასალა თუ ტესტ-სისტემები, ელექტროენერგია, წყალი და ა.შ. ასე, რომ საუბარი „ვაჭრობაზე“, ჩვენს შემთხვევაში, გადაჭარბებულია.

— რამდენად საიმედოა „ქართული სისხლი“? როგორც ვიცო, ერთი ადამიანის დაინფიცირებაც კი მოხდა ქუთაისში რამდენიმე წლის წინ...

— სისხლის კვლევებთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაცია იცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და დადგენილ ყველა პირობას. გარდა ამისა, ჩვენს სამსახურს გააჩნია დიდი გამოცდილება ამ მიმართულებით (განსაკუთრებით ეს შეეხება იმ პირებს, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან სისხლის კვლევებზე). რაც შეეხება ქუთაისში მოხდარ ფაქტს, ამ თემაზე სრულფასოვან კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვინაიდან არ ვიცნობ ორგანიზაციას და საქმის დეტალებს.


— 14 ივნისი უფასო დონაციის დღეა. თუ გვმავთ რაიმე აქციის მოწყობას ამ დღესთან დაკავშირებით? საზოგადოების ინფორმირება საჭიროა და როგორ მოახერხებთ ამას?

— 14 ივნისს, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ჩვენთანაც აღინიშნება უანგარო დონორთა დღე. ამ დღიდან ჩვენს სამსახურში გამოცხადებულია სისხლის უანგარო დონორთა კვირეული. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოგვმართოს. გარდა ამისა, დაკომპლექტებულია გამსვლელი ბრიგადები, რომლებიც ადგილზე მოემსახურებიან ნებისმიერ რეგიონს, სამსახურს თუ მცხოვრებს.

როდესაც ხოჯანაშვილი

# მოქანდაკის სახლი — მუზეუმი!

ქუთაისში, კულტურის თვალსაზრისით, ყველა მნიშვნელოვან ადგილას გიორგი (გოგილი) ნიკოლაძის სკულპტურული ნამუშევრები დგას. მარტო ქუთაისში ამ ქანდაკებათა რიცხვი 30-მდე აღწევს, დანარჩენები თბილისში და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშია დადგმული. ქვეყნის გარეთაც: უზბეკეთში, პენზის ოლქში, ცელინოგრადში, ყარაგანდაში, ურგანში, პერმში, ორენბურგში და სხვაგან თავის დროზე წარმატებით დაიდგა მოქანდაკის მიერ შექმნილი ნამუშევრები. გერმანიაშიც, ქალაქ ვედერნში, გრაფ ანტონის სახელობის ქუჩასავე ამუშევრებს მის მიერ შესრულებული და ბრინჯაოში ჩამოსხმული ბარელიეფები გრაფინია კრისტინასა და გრაფ ჯოზეფ ანტონის რეპროდუქციური ნამუშევრებისა.



გიორგი ნიკოლაძე

როდესაც ეკლესიაზე არანაზღაურებულად განხორციელდა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიის გაფართოვების მემკვიდრეობის (ხელნაწერების, საეკლესიო ნივთების) შეგროვებასა და მის დაცვაში; მან მუზეუმში გადაიტანა მთელი შეგროვილი სიწმინდეები და მის საფუძველზე შეადგინა ბიბლიოგრაფიული ორტომეული.

ამჟამად, გიორგი ნიკოლაძის საკუთარ სახლში, ქუთაისში, თბილისის ქუჩის №79-ში, დაცულია მოქანდაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნაწილი: 70 ქანდაკება ქალაქის ღირსშესანიშნავი და სახასიათო პიროვნებებისა (პორტრეტები, ბიუსტები, კომპოზიციები), ასევე პირადი არქივის დიდი ფოტომათაქა.

მოქანდაკის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით კლდიაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ლადო მესხიშვილის, ლადო ასათიანის, ვლადიმერ მაიაკოვსკის (ვალერიან მიზანდართან ერთად), ვალაკტიონის, ეფრემ მცირეს, მეუღლის („პურაპურა“), ქალიშვილის პორტრეტები, სულიკო (თხზავთურიანი კომპოზიცია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ბულვარში დგას), მნახველზე განსაკუთ-

რებულ შთაბეჭდილებას ახდენს „აფონია“.

მოქანდაკის შემოქმედებით მემკვიდრეობას გიორგი ნიკოლაძის მუზეუმი, პროფესიით ექიმი, ქალბატონი ნორა გაბრიანი მზრუნველობს, მაგრამ ამ მემკვიდრეობას დასისტემება, დანახარისხება და სამუზეუმო ჩარჩოში მოქცევა ესაჭიროება, რაც კვალიფიციურ მიდგომას საჭიროებს.

გიორგი ნიკოლაძის ეზო-კარი, საუცხოო გარემო და შესანიშნავი შემოქმედებითი მემკვიდრეობა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ტურისტების, დამთვალიერებლების დიდ ინტერესს იწვევს ასევე ეზოში განლაგებული ქანდაკებები და მნახველი ალიქვამს კიდევ აქაურობას მუზეუმად. ეს მოქანდაკის უდიდესი სურვილიც იყო. მის სიცოცხლეში სახლი ერთგვარ სახელოსნო-სალონად იქცა მოიაზრებოდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძალიან კარგი იქნება, თუ ქალაქის კულტურულ კერებს გიორგი ნიკოლაძის სახლ-მუზეუმიც შეემატება.

ცირა ყურაშვილი, მწერალი

## ერაყელი პროფესორი ქართულ აუდიტორიასთან

30 მაისს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, აქვე არსებული აღმოსავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრის მკითხველთა კლუბის ინიციატივით, გაიმართა აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ქალაქ ბაღდადის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, ბატონი ჰაზიმ მუჰამედ ჰუსეინის სემინარი. იგი ეხებოდა აღმოსავლეთის ორი უდიდესი მწერლის — ნაზიმ ჰიქმეთისა და აბდ ალ-ვაჰაბ ბაიათის შემოქმედებას.



ჰუსეინმა განაცხადა, რომ იგი დაინტერესებულია ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებით და, რაკი ეს ინტერესი სხვებსაც შეატყოს, გადაწყვიტა ამ სემინარის ჩატარება.

ქართველი მსმენელისათვის შთაბეჭდვით აღმოჩნდა ერაყელი პროფესორის ლექცია-სემინარი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სამეცნიერო ბიბლიოთეკის აღმოსავლური კულტურის საინფორმაციო ხელმძღვანელი ლეილა თვარაძე თარგმნიდა.

ქურნალისტებთან საუბრისას ჰაზიმ მუჰამედ

ჰანა ჯანალიძე

## „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა უნივერსიტეტში

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა გაიმართა. ხუთწლიანი კითხვის მქონე ლონისტიანის ორგანიზაციები იყვნენ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ქართული ენის მიმართულებასთან არსებული სტუდენტთა საერთაშორისო კავშირები...

სასურველი სტრიქონების წაკითხვა. ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელმა, ასოციირებული პროფესორმა და აღნიშნული ლონისტიანის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რუსუდან სალინაძემ „P.S.“-თან საუბრისას განაცხადა: „ჩვენ კიდევ ერთხელ მივხატეთ გენიალური შოთა რუსთაველის შედევრს, მისი სტრიქონების მშენიერებას და სიბრძნეს. სტუდენტები განსაკუთრებით ემზადებოდნენ, რომ ტრადიციულად ქვეყნიდან უნიკალური ლიტერატურის სტუდენტები, სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები, რეგონებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა, ასევე ნებისმიერ მსურველს შეეძლო

ამზადეს სტიკერები, წარწერით „მე მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“, ასევე — ბათები.“

ქართული ენისა და ლიტერატურის მე-4 კურსის სტუდენტი მაკა ფარქოსაძე: „ჩემთვის მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრია, რომელიც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს. თაობებს უნდა გადაეცეს ეს ტრადიცია და სიამაყე. ვისურვებ, შემდგომ წლებშიც არ დაირღვეს ეს ტრადიცია.“

ლონისტიანის ბოლოს, დაახლოებით, 100-მდე მონაწილე რექტორატის მიხედვით დააჯილდოვეს.

ჰანა ჯანალიძე psnews.ge

# ბავშვთა უფლებები ყველაზე ხშირად სოციალურად დაუცველ ბარემოში ირღვევა

## დისკუსია გაზეთ „P.S.“-ის Press-კლუბში

„ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ გარემოში, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის“ — ბავშვთა უფლებების კონვენციის 27-ე მუხლი ამ ვალდებულებას კონვენციის ხელმძღვანელმა ყველა სახელმწიფოს თანაბრად აკისრებს. საქართველო ერთ-ერთია კონვენციის ხელმძღვანელ იმ 193 ქვეყანას შორის, რომელმაც კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა აიღო.

გეროს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის ჩვენი ქვეყანა 1994 წელს შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელია, საქართველოს ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში საერთაშორისო დონის პასუხისმგებლობა აკისრია, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა ყოველწლიურად მძიმდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა შეფასებით, მოზარდთა უფლებების დარღვევის ფაქტების ზრდა პირდაპირპროპორციულად ასახავს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობას, რადგან, ბავშვთა უფლებები ყველაზე ხშირად, სწორედ სოციალურად უთანასწორო გარემოში ირღვევა.

ბავშვთა უფლებების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებსა და მოზარდთა უფლებების დაცვაში სახელმწიფოს როლზე ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა გაზეთ „P.S.“-ის Press-კლუბში. პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, Press-კლუბს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები და პედაგოგი მარინე შავგულიძე სტუმრობდნენ. მათთან სასაუბროდ კი მოწვეული იყვნენ ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის იურისტი გიორგი ლაბაძე.

შეხვედრაზე, რომელშიც აქტიურად

ჩაერთვნენ მოზარდები, გამოიკვეთა არაერთი პრობლემური საკითხი. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები დაინტერესდნენ, ირღვევა თუ არა მათი უფლებები სკოლაში, მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მათთან ერთად ჩართული არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები; ნიშნავს თუ არა უფლებების დარღვევას მშობლების მიერ შეიღებულ იქნა ქუჩაში თანხის შეგროვების მიზნით, იზღუდება თუ არა ბავშვის უფლებები მშობლების განქორწინების შემდეგ, როცა სასამართლო წყვეტს, ვის მიაკუთვნოს ბავშვზე მეთურეობა და ა.შ.

არასამთავრობო ორგანიზაციის „დედათა და ბავშვთა დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელს, მანანა მანგაძეს, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მშობელთა მიგრაცია მიაჩნია, რის გამოც ბავშვები ვერ ახერხებენ იცხოვრონ პარონიულ გარემოში.

„ბავშვთა უფლებების დაცვა პირდაპირ არის დამოკიდებული იმ სოციალურ პოლიტიკაზე, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს. მიგრაცია არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. რო-

ცა ბავშვს არ აქვს შესაძლებლობა, იცხოვროს საკუთარი დედის მზრუნველობის ქვეშ, პირდაპირ ნიშნავს მისი უფლებების დარღვევას,“ — ამბობს მანანა მანგაძე.

„ქუთაისის განათლებისა და დასაქმების ცენტრის“ წარმომადგენლის, ნათია ნამიჭიჭილის თქმით, სკოლებში ამ თვალსაზრისით, უმთავრესი პრობლემა არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სათანადო გარემოს არარსებობა.

„გადაადგილება და ის, რომ მშობლები, ერიდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკუთარი შვილების ადაპტაციას გარემოსთან — ეს ის საკითხებია, რომლებიც უმთავრეს პრობლემებს წარმოადგენს ასეთი მოზარდისათვის. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ბავშვებს ჰქონდეთ სათანადო გარემო, რათა მიიღონ სრულყოფილი განათლება. ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მიზანია, ბავშვებმა არათუ იცოდნენ საკუთარი უფლებები, არამედ დაიცვან კიდევ და ამ ცოდნას მათ სკოლა უნდა აძლევდეს,“ — ამბობს ნათია ნამიჭიჭილი.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული არაერთი პრობლემა მოხვდა სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში. სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის წარმომადგენლის, გიორგი ლაბაძის თქმით, უმთავრესი პრობლემა, რის გამოც ყველაზე ხშირად ირღვევა ბავშვთა უფლებები საქართველოში, არის მძიმე სოციალური ფონი ქვეყანაში.

„გეროს კვლევის მიხედვით, გასულ წელს, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა 77 ათასი ბავშვი და დღიურად ერთ ბავშვს მხოლოდ ორი



Press-კლუბში

ლარი ხმარდებოდა, რაც კატასტროფაა. რაც შეეხება ბავშვების ქუჩაში იძულებით შრომას, ეს, პირდაპირი მნიშვნელობით, არის ტრეფიკინგი, რაც კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს მეტი ღონისძიებები, რათა ბავშვების სოციალური უფლება იყოს დაცული. ასევე ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სახალხო დამცველის ანგარიშში, ეს არის მშობელთა განქორწინების შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, არღვევს ბავშვთა უფლებებს. მაგალითად, როცა ერთ მშობელთან იზრდება ბავშვი და სასამართლო მეორეს მიანიჭებს მეთურეობის უფლებას — ეს პროცესი სახელმწიფომ უნდა დააარსდეს იმის, რომ განქორწინების შედეგები

ნაკლებად მტკიცე იყოს ბავშვისთვის,“ — განაცხადა გიორგი ლაბაძემ.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, სახელმწიფოს მექანიზმი უმთავრესია ამ კუთხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, უპირველესი, რაც სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, ეს არის მოზარდთა ინფორმირების დონის ამაღლება მათი უფლებების შესახებ. მთავარი ქვაკუთხედი კი მაინც სკოლაა, რომელმაც საბავშვო ცოდნა უნდა მისცეს მოსწავლეს საზოგადოებაში მისი ადგილის დამკვიდრების შესახებ.

შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში სამოქალაქო სექტორის აქტიურობის მნიშვნელობას.

მარი პაპარაია

# ნორჩ შემოქმედთა წრე ახალ თაობას აფრთხილებს...

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ნორჩ შემოქმედთა წრე მრავალი წელია არსებობს. აქ არაერთი მომავალი მწერალი დაფრთხილებულია. იმედია, მომავალში მათ კვალს გააპყვება დღევანდელი თაობაც, რომელიც ქალბატონ დარეჯან არველიძის ხელმძღვანელობით განაგრძობს სახელოვან ტრადიციებს. ახალ თაობას მოაქვს ახალი ხმები, ახალი ოცნება და რწმენა ხვალისდელი დღისა...

### მე ქართული ვარ

მე მესმის ენა ვაზისა და ვერსალი მთების, მე ვეძებ წარსულს და შევნატრი ლამაზ მომავალს, მე არაერთხელ დამდებია თვალზე ცრემლი, მე გამარჯვებას წლების შემდეგ მივუძღვნი სალომ!

მე ჩემი გულით დავატარებ უსაზღვრო წუხილს, მე მიფიქრია უსამართლო ტანჯულ დღეებზე, ჩემთვის ლალატი სულიერად სიკვდილისა უდრის, ლაფი დამისხამს ცრუ პატრიოტ, ცრუ პოეტებზე. ჩემთვის უცხოა სიმდიდრე და დიდი სახელი. თუ დამეკარგა სულიერი, სიამართლის ხედვა, განა ვარ ღირსი რომ ვუწოდო ჩემს თავს ქართველი, თუ დავივიწყე უფლის მადლი და ათი მცნება.

მე ვეძებ წარსულს და შევნატრი ლამაზ მომავალს, მე გამარჯვებას წლების შემდეგ მივუძღვნი სალომ!

დავით შალამბერიძე

### მე ქართული ვარ

ქარი ურჯულოა, მის მონატანს, ყველას თან წაიღებს მონადიებს... მე კი ვაკვირდები ისტორიას, ყოველ ფოთოლს ვხედავ, მენ თუ ერთი კოცნა არ მოგპარე, აბა, რა ვაჟკაცად ჩავითვლები.

მასხვს გადაჭრილი მზის სვეტები, ცამდე ალანძული ღიმილია, წარსულს შეყინვია გამეტების, ცრემლზე აკინძული იდილია...

რა ვქნა, პოეტობა ჩამომართვეს, როგორც ქვეყნის მპყრობელს, ტახტრევანი, იცი, რა გამაცვენეს ბრალდებებზე! სიტყვის უნიათო არჩევანი...

პაპუნა რევიშვილი

\*\*\*

„ანგელოზის ეჭირა გრძელი პერგამენტი“ და გული ჩვენ გამო შენაარს სტკიოდა, ანგელოზს ეჭირა პატარა სანთელი და წმინდა ცრემლები მიწაზე ცვიოდა.

ჩვენ მარცხნივ ისაა — ბოროტი, ჭკვიანი, ვის გამოც ვივიწყებ: სიკეთე, ტრეფალი, ცხოვრება ესაა, — ღიღინებს რქიანი, შური და ლალატი, ომი და გრილი.



პაპუნა რევიშვილი და მისი მოსწავლეები

არაა ვიდადლოთ, ვიმღეროთ, ვილალოთ, წამისა სიცოცხლე, შორს მიაქვს ფიქრები მისა, სულზეც მისია, ვართ რის მაქნისია, ან რისი ღირსია? მარიამ ქვეთარაძე

\*\*\*

საქართველოს ბაღის ვარდი, რად ირხევა ასე ზანტად? წელიწადის ყოველი თვე გადამეძვს, ნეტად, მარტად.

მიყვარს მარტი, როგორც დარდი, ამღვრეული გაფიქრების, გაფიქრებით, ნაფიქრებით, მოჩანს ვაზის ნაზი ფრთები.

ნაზი ვაზიც არის ძველი, მაგრამ იგი სხვა ფერია, ცოცხალი-ცოცხალი, კოცნა-კოცნით, მოსისხლეს რომ დაერია.

ჩემი არის ვაზი თლილი, წმინდანის ჯვრად გამოთლილი, ყლორტით ნაზი, ტანმორჩილი, მოხუცივით დაიჭილი.

დავით ხურციძე

საუკუნეთა გარიჟრაჟზე სამშობლოს იცავს, დაბადებული და გაზრდილი მის ერთულ შვილად.

მეფურ სიმტკიცეს და სულიერ დიდებულებას, რუსთაველის გულმაც ვერ გაუძლო, იწვის კალამი, ამ ისტორიის სარკვებში მოჩანს თამარი, ყველა ქართველს რომ წინ მიუძღვის თავის ალამით.

გარდასულ ჟამთა ნაოჭებში ებოქად ფეოქავს, დიდი მეფის სიტყველ და მამაცი გული, მე მხოლოდ ერთი მოკვდავი ვარ, მისით ამაყი, ჩვენი სამშობლოს ოქროს ხანით შთაგონებული.

ნინო ტაყაიძე

\*\*\*

აფხაზეთის მიწაზე გულის ძეგრა წყდებოდა, ათონში თუ რიწაზე, იგი მენატრებოდა.

შორეულ მწვერვალების თეთრად გამოხატება, ჯერაც დაუმთავრებლის ემზი მოემატება.

წვიმა მოავდრებული,

ღმერთმა ასე ინება, შენგან მონატრებული ცრემლი დამედინება.

გიორგი შონია

### ვაჟა-ფშაველას

შენ ეტრფოდი ამ ბუნებას, ზამთარშიც არ ცივა, თვალზე ცრემლი მას ყოველთვის ამკობს ლამაზ მძივად.

მისთვის გითქვამს, გითხოვია, კალამი და სმენა, საქართველოს სიყვარულით ამოვიღებამს ენა.

ბრძენი იყავ ბუნებისთვის, გწადა ლექსის წერა. ჭირსა შიგან ლექსი იყო ჩვენთვის დიდი რწმენა.

ზურაბ სანიკიძე

### 306 ვარ?

არითმია მაქვს... გულის, არა — როლის... ზოგჯერ არის მომენტები, როცა, უბრალოდ, კარგად ვარ, ზოგჯერ კი... არა, უფრო სწორად ხშირად მგონია, რომ ყველაფერი დასრულდა... დაუწყებლად... ბავშვობაში ნიღბიანების მეშინოდა, მაშინ არ ვიცოდი თუ ამ სათამაშო „მასკის“ მიღმა ადამიანები ბევრად უფრო საშიშ ნიღბს მალავდნენ, დღეს, უბრალოდ, ვერიდებ მათ... და, თავად მე ვინ ვარ? ჰო, მე ერთი ჩვეულებრივი გოგონა ვარ, რომელსაც მეგობრებმა კალამი და ფურცელი აურჩევია, აურჩევია ან, უბრალოდ, დრომ დაუტოვა... მეგობარი... ამბობენ არ ჰყავდათ ვალაკტონის მეგობარი, ეჰ, მეცხოვრავა წინა საუკუნეში რა კარგად გავუგებდი!.. ახლა კი ფურცელს და კალამს ვუზიარებ ჩემს ფიქრებს, ოცნებებს, მგონია, ისინი გამიგებენ, მაგრამ ამოდ, კალამმა მხოლოდ კვალი დატოვა, ფურცელმა კი მიიღო!.. და მაინც... ამ შავ ფურცელზე არის ერთი ნათელი წერტილი, ეს იმედია... ჰო, მე იმედო მაქვს, რომ

ჩემს მიერ ნაგები ოცნების კომპები არ დაიმსხვრევა და ნანგრევებში თავადღე არ აღმოჩნდება...

მარიამ ელიაშვილი

### ქვიანა მუშა ფირავა

ქვიანების ნაწარმოებში მკაფიოდ უღერს შეგთერ ფიქრთა აკორდები და სულის ოხვრის სიმფონია ზარით უკრავს, „forte“-ზე ისმის სევდის გამა, ნაზი და ლამაზი ისტორიები კი ჩუმად, თავისთვის „piano“-ზე ბუტბუტავს ერთი ნაწილის სარკმლიდან.

მზე ისევ მცხუნვარედ ანათებს და ათბობს სამყაროს, მაგრამ ადამიანები ისევ ისე ველარ ხედავენ და ველარ იღებენ მის სხივებს, როგორც წინათ. ის კი მაინც კაშკაშებს, ცდილობს მისი სითბო ყველას შეახოს, გაუწაწილოს და განათოს ბნელი გულები.

„შიში დაძრვის. ეშინიათ ყველასი და ყველაფრის, მაგრამ მზეს მაინც ემალბიან. იყუყუბიან სახლებში და ფარდის უკან ამოფარებულნი ცდილობენ თვლი მაინც ადევნონ გარემოს.

მელოვიარე მიწაზე ლეშები დადიან, ადამიანები კი შიგ გულში ეხუტებიან და იძენად ეკვრიან, რომ ქვირივც უკან აღარ უშვებს და შავ სულარას აფარებს... მზე ანათებს და ანათებს...

გვანცა ბუაძე

### ტაბიკა მუშაუზი

თითქოს ისხდნენ, ლექსებს წერდნენ, ციაგობდა მათი ოდა, ორი დიდი ბუმბერაზი, ვაჟკაცურად პაექრობდა.

მარი რაზმაძე

\*\*\*

იქნებ გავივით ბეთპოვენი, როგორ ანებობენ მელიდობებს,

### 7 ივნისი ნორჩა შემოქმედთა

ქრისტინე რობაქიძის სახელობის სახელმწიფო გალერეაში ჩატარეს სალომ დღეები: „პოეზია, მუსიკა, მხატვრობა“.

ცისფერმა მუშამ ფრთები გაშალა და იქ მყოფი დამსწრე საზოგადოება მოხიბლული დარჩა ახალგაზრდების საკუთარი შემოქმედებით, ისინი კიდევ ერთხელ ეზიარნენ პოეზიის მადლსა და ხიბლს.



კვირის პროსპექტი

**ვერდი:** მოვლენა უნდა მიიღოს მთელი სერიოზულობით, მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება თქვენში შეუკავებელი სიცოცხლე გამოიწვიოს.

**კურო:** ინტიმურ ურთიერთობაში პარმონია და რომანტიკულობაა მოსალოდნელი. წვეულებაზე მოხვდებით. ყურადღების ცენტრში იქნებით, შეიძენთ მეგობარს.

**ტყუები:** ყველაფრის მიმართ, რაც თქვენ ირგვლივ ხდება, გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა. ცხოვრებას დადებითად უყურეთ და საკუთარი სურვილების გზით იარეთ. რისკს ნუ მოერიდებით.

**კირჩხიბი:** საქმეები თამამად დაგვემეთ. მეგობრების დახმარებით ბევრ რამეს შეძლებთ.

**ლომი:** არსებობს შანსი ემოციური სტრესის მიღების და თუ თქვენ მოგიწევთ სახელმწიფო ინსტანციებში მიმართვა, იყავით თავშეკავებულნი. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს. აუცილებელია აღიჭურვოთ მოთმინებით და თავშეკავებულობით, რათა თავი აარილოთ კონფლიქტებს ახლობლებთან და თქვენდამი დაქვემდებარებულ პირებთან.

**ქალწული:** პრობლემების გადაჭრისას ინტუიციას ენდეთ. კარიერაში წინსვლის საშუალება მოგეცემა. ხელმძღვანელები თქვენს ახალ იდეებს დაფასებენ. საინტერესო ნაცნობობაც გელოთ.

**სასწორი:** საინტერესო მოვლენებით დატვირთული კვირა გელოთ. კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ. საინტერესო ადამიანებთან ნაცნობობა თქვენს ცხოვრებას გაახალისებს.

**მორიელი:** დრო დასვენებასა და გართობას დაუთმეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ბავშვები, მათთან საერთო ენას გამოიხატეთ და ამით თავს ბედნიერად იგრძნობთ. მოსალოდნელია უაზრო კონფლიქტი მეგობართან, ეცადეთ თავი აარილოთ ამას და ბუნებაში გავივლით.

**მშვილდოსანი:** ახალ საქმეს ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი. საშუალება მოგეცემა საქმიან პარტნიორებთან სასურველი გარიგებები დადოთ. საყვარელ ადამიანს დიდი დრო დაუთმეთ, გაუქეთეთ საჩუქარი, ამ შესტით მას ძალიან გაახარებთ.

**თხის რქა:** შესაძლოა, რაიმეს მიმართ პესიმისტური გრძნობა გაგიჩნდეთ, ნუ აპყვებით მას და ამის გამო ნურაფერს შეცვლით თქვენს ცხოვრებაში.

**მერწყული:** სამსახურში დატვირთვა გელოთ. მოგიწევთ ბევრი პრობლემური საკითხის გადაწყვეტა და თქვენ უფროსობისგან მადლობას მიიღებთ. დიდი სტუმრიანობა გელოთ. ყურადღება მიაქციეთ განმრთვლობას, დაგვემეთ ექიმთან ვიზიტი.

**თევზები:** შესაძლოა, ილუზიების ტყვეობაში მოხვდეთ. ნუ აპყვებით ოცნებას. ერიდეთ სიზარმაცეს და ნუ გააკრიტიკებთ ნურავის.

კალენდარი 2013 წლისთვის. შეიცავს თვეების და დღეების განმარტებას, ასევე მნიშვნელოვან დღეებს.

კუდიტ ნასროლი ნახლი

უკვე მერამდენელ ვწერ ტყის პრობლემაზე, აღარც მახსოვს. აქამდე იყო წერა და კითხვა, საქმე კი გაკეთებული ნაკლებად ჩანდა.

სამსახურიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა დამირეკეს, წაბლნარების გამო გზა გადაუკეტავს მოსახლეობას და, როგორც „წაბლის კაცმა“, რა ხდება, თუ იციო. ამის გაგონებისთანავე სიხარულმა ფრთები შემასხა, სასწრაფოდ გადავდე ყველა საქმე და ლამის თანატოლი „ოპელით“ აქციის მონაწილეებს შევეურთდი. არ დავმალავ და პროფესიული ინტერესიც მქონდა (წინააღმდეგ შემთხვევაში, ფოტოაპარატი და გადაქუცული ჩანაწერების წიგნი თან არ უნდა მქონოდა).

პრეზიდენტის სოფლიდან (ასე ეძახიან ცხრუკვეთს) ჩამოსულ მოსახლეობას კიდევ სამი სოფლის ხალხი მიჰმატებოდა და იყო გარჩევა ყველაფრის: ლოკალური პრობლემატიკიდან დაწყებული და გლობალური პოლიტიკით დასრულებული. სასიამოვნო ფაქტი: ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებიც ხალხის გვერდით იდგნენ და საერთო განწყობას უერთდებოდნენ. წუხდა ხალხი, ერთმა სატვირთო ავტომობილმა გადავასწრო, მეორე აგერ გვეყავს „პატიმრობაში“. გასწრებული „კრაზი“ თურმე შემოვლითი გზით, ნავთობსადენის გასწვრივ, გაუპარებია მძღოლს და ამით გადარჩენილა სხვა ადამიანებთან ერთად ღამისთვის. ადამისდროინდელი „ურალი“ იდგა ხეებით დატვირთული და ტრაპაპიძის ამოხრებელი კომპანიის წარმომადგენელს ელოდა „მონატრებული თავისუფლების მოლოდინით“.

ცხრუკვეთელი ბესიკ ბიწაძე გარკვევით აყალიბებდა მოთხოვნებს, მათ შორის პირველი ასეთი იყო: უპირობოდ შეწყდეს ბარბაროსული ჭრა! სვერის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები თითებს იშველიებდა პრობლემების ჩამოთვლისას, რომლებიც წარმოშვა დასაქმების ყოფილი მინისტრის პაატა ტრაპაიძის კომპანიამ ორი წლის განმავლობაში ტყეების უმოწყალო ჩეხვით.



ერთად - ძალიან ბედნიერი ვართ

გამახსენდა, ჩემი სოფლის რწმუნებულები ამ ადამიანს როგორ ეხვეწებოდა, ერთად დადგეთ და ეგებ ეს ვანდალები თავიდან მოვიცილოთ. მერე სასწრაფოდ სიტუაციური ანექლოტიც გამოცხვა: ერთ ქალს ათი კაცი აუპატიურებდა და შორს მიმავალ მერე ქალს დაუწყო ძახილი, მომეშველე, ღვთის გულისთვისო. მერე ქალს დაუძახია: მაგ კაცებს მე ვერაფერს დავაკლებ და ხუთი გამომევი ჩემკენ, შედგავთი იქნებაო. ალბათ, მიმიხვდით, ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ორ ტერიტორიულ ორგანოში გადნაწილებულიყვნენ ვანდალურ ჭრაზე

დასაქმებული მუშები. აქციის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუფკვემირდი და გზის გადაკეტვა „მივხარე“, თან გასული გარემოს დაცვის დღე ორიგინალურად მიველოცე: რამდენადაც იცავთ გარემოს, იმდენად გილოცავთ-მეთქი. პიარის სამსახურის უფროსმა, რომელსაც სქესის და სილამაზის გამოც გვემ პატივს, დელიკატურობა ბოლომდე გამოიჩინა და იობის მოთმინებით მოისმინა გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ ჩემი პრეტენზიები, შემდეგ მითხრა, რომ მინისტრის მოადგილეს ოპერატიულად გადასცემდა სიტუაციის მდგომარეობას. სწორი გითხრათ, გარემოს დაცვის სამინისტროზე უფრო წარმოდგენა მქონდა, რადგან რეაგირების მოლოდინი კვირებს მოიცავდა ხოლმე.

გზის გადაკეტვის გამო ჰიათურის მუნიციპალიტეტიდან პოლიციამ „პიკაპით“ ამოგვაციოთხა

როლანდ ხოჯანაშვილი  
ჰიათურა

კუდიტ ნასროლი ნახლი. A crossword puzzle grid with clues in Georgian. The clues include names of people, locations, and historical events.

შეადგინა ალექსი ნახაძე

პროსპექტი. A section containing two puzzles: a word search and a crossword puzzle. The word search clues include 'პასუხი ნინო ნოზარის ფოტო-ვიტორინაზე', 'ცნობილი ქართველი მსახიობი, ლეო ანთაძე', 'რას დააჩქარებდა?', 'პასუხი ნინო ნოზარის ფოტო-ვიტორინაზე', 'დაგვიკავშირდით: (0 431) 24-45-46, 24-82-25. psnews27@gmail.com', and 'ნანა თოდუა'.

კვირის კრიტიკა

თარაზულად: 3. ქვეყანა ევროპაში. 5. გერმანული ავტომობილი. 6. მსახიობი ... უიარყოფი. 8. პურის თავთავების კონა. 9. ვატარებელი ხორცი. 11. ქვეყნის თავდასხმა სხვა ქვეყანაზე. შევუღალე: 1. ობობას აბლაბუდა. 2. კელის სანაოი. 3. ქალაქი საქართველოში. 4. პოლონელი ჩოგბურთელი ... რადვანსკა. 7. უწყსრიგობა, არეულობა, 10. მდინარე განაში.

